

## სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში

დავით ლოსაბერიძე  
24 ოქტომბერი, 2003

### შესავალი

XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტზე მნიშვნელოვანწილად მოქმედებს გასული საუკუნის 90-იანი წლების მოვლენები. საბჭოთა კავშირის დაშლა, სამოქალაქო დაპირისპირება ქვეყანაში, შემდგომი - შედარებითი სტაბილიზაციის პერიოდი და პოლიტიკაში კლანური ურთიერთობების დომინანტობა განაპირობებს ქართული საზოგადოების დღევანდელ სახეს.

20 საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა კავშირში დაწყებულმა გარდაქმნების პროცესმა საზოგადოებრივი აქტიობის ზრდას შეუწყო ხელი. ამასთან ამ მოვლენამ აშკარად გამოხატული ნაციონალისტური შეფერილობა მიიღო. საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის ერთადერთ საშუალებად (და მიზნად) დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა გამოცხადდა.

ასეთი განწყობა სრულიადაც არ იყო მხოლოდ ქართული მოვლენა. კომუნისტური იდეოლოგიის ალტერნატივად ნაციონალიზმის გამოცხადება მთელი პოსტკომუნისტური სივრცისათვის არის დამახასიათებელი. საქართველო იმით განსხვავდებოდა ცენტრალური ევროპის ქვეყნებისაგან, რომ ეროვნული სახელმწიფოს შექმნის იდეა არ ემყარებოდა გააზრებულ, რეალისტურ ხედვას და მითოპოეტურ მენტალობაზე, ქვეყნის ისტორიული განვითარების გაიდეალებულ ხედვაზე იყო დაფუძნებული.

აღნიშნულმა გარემოებამ ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველ წლებშივე წარმოშვა სერიოზული კონფლიქტი. ერთის მხრივ, ნაციონალისტურად განწყობოლი ხელისუფლება, რომელსაც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი უქერდა მხარს, ხოლო მეორეს მხრივ ლიბერალურად მოაზროვნე ინტელიგენცია, რომელიც ქვეყანაში დემოკრატიულ და საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელი რეფორმების გატარებას მოითხოვდა, ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ.

ხელისუფლებისადმი დაპირისპირებულ ბანაკში აღმოჩნდა ყოფილი საბჭოური ნომენკლატურისა და ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების დიდ ნაწილიც. პირველი ახალ, მნიშვნელოვანწილად ყოფილი მარგინალური ფენებისაგან დაკომპლექტებულ ხელისუფლებაში სოციალური რევანშის საფრთხეს ხედავდა და არც თუ ისე უსაფუძვლოდ, მეორეს კი რადიკალური ნაციონალისტური ტენდენციების გაძლიერება საკუთარი არსებობისათვის სასიკვდილო საფრთხედ მიაჩნდა.

დაპირისპირებამ, რომელშიც გარე ფაქტორებმაც (რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ წრეებში იმპერიალისტური ნოსტრადაგის სიძლიერე) სერიოზული როლი ითამაშა, სამოქალაქო ომისა და შეიარაღებული

ეთნიკური კონფლიქტების ფორმა მიიღო და პირველი პოსტსაბჭოური ხელისუფლების დამხობით დასრულდა.

შემდგომ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა - სრულმა ეკონომიკურმა ნგრევამ, კრიმინალური სამყაროს არნახულმა გაძლიერებამ, სხვადასხვა ჯურის შეიარაღებულ დაჯგუფებათა თარეშმა საზოგადოების ძლიერი შოკი გამოიწვია. 80-იანი წლების მიწურულის საზოგადოებრივი აქტიობა 90-იანი წლების აპათიამ შეცვალა.

90-იანი წლების შუახანებში ქვეყნაში დაწყებული შედარებითი სტაბილიზაციის პროცესი ძველი, საბჭოური ტიპის ბიუროკრატიის ძალაუფლების განმტკიცების პირობებში მიმდინარეობდა. საზოგადოების პასიურობამ ხელი შეუწყო პატრიმონიალური მენტალობისა და კლიენტელური ურთიერთობების განვითარებას, რომელიც საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში შეიმჩნეოდა.

საქართველოს ზოგიერთი პოსტსაბჭოური ქვეყნისაგან ბუნებრივი რესურსების სიმცირე განასხვავებს. ქვეყნას არ გააჩნია სასარგებლო წიაღისეულის დიდი მარაგი, რაც ნაკლებგანვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში (ცენტრალური აზისა და მახლობელი აღმოსავლეთის ნავთობით მდიდარი რეგიონები) ავტორიტარიზმის განმტკიცების საფუძველი ხდება ხოლმე. რესურსების სიმწირის პირობებში არსებობს ქვეყნის განვითარების ორი შესაძლო ალტერნატივა. პირველი - ადგილობრივი კრიმინალური კლანების გაძლიერება, რომლებიც შეერწყმევიან სახელმწიფო აპარატს და ე.წ. ბანანის რესპუბლიკისათვის დამახასიათებელ მმართველობის კლანურ-ბიუროკრატიულ სტილს დაამკვიდრებენ და მეორე - სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და სტაბილური, დემოკრატიული ცხოვრების წესის დამკვიდრება.

როცა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების (პოლიტიკური პარტიები, მასმედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, ეკლესიები და სექტები) პერსპექტივებზე ვსაუბრობთ, აუცილებელია ცალცალკე იქნეს განხილული მისი შემადგენელი სეგმენტების მდგომარეობა, კერძოდ არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიას, რელიგიური ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების გარვითარების დონე და საზოგადოებრივ პროცესებზე მათი ზემოქმედების ხარისხი.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო აქტიობა ქვეყნაში არასოდეს არ გამოირჩეოდა მაღალი დონით, ვინაიდან არ არსებობდა მაღალი სამოქალაქო კულტურის ხანგრძლივი ტრადიცია.

ფეოდალური ტიპის ქართულ პოლიტიკურ წარმონაქმნებში, რომლებიც შეა საუკუნეების მთელ მანძილზე აზიური დესპოტიების წინააღმდეგ განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდნენ, ბუნებრივია, ვერ მოხდებოდა ლიბერალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბება. რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დაპყრობამ (XIX ს. პირველი ნახევარი) საქართველოში ასევე ვერ შექმნა განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები. მართალია XIX საუკუნის II ნახევარში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, კერძოდ მისი ლიბერალ-დემოკრატიული ფრთა მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილის მენტალიტებზე და მსოფლმხედველობაზე

დიდი გავლენის მოხდენა ვერ მოახერხა. რუსეთის 1917 წლის რევოლუციისა და იმპერიის დაშლის შემდეგ პერიფერიებზე (კავკასია, ბალტიისპირეთი) აღმოცენებული დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების განვითარების პროცესი ბოლშევიკური აგრესის მიერ იქნა შეფერხებული.

დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების სერიოზული მცდელობა საქართველოში მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ეს არის მეტად მტკიცნეული პროცესი, რომელშიც საკმაოდ ჭარბადაა რეტროგრადული რევანშის მცდელობები იმ ძალთა მხრიდან, რომლებიც საფუძველშივე ეწინააღმდეგებიან დია საზოგადოების იდეას. ამ გარემოებას აძლიერებს რუსული ნეოიპერიალისტური წრეების მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ფარული თუ აშკარა აგრესის პრეცედენტები.

აღნიშნულ პროცესებთან ერთად აუცილებლადაა გასათვალიწინებელი საზოგადოებრივი მენტალობაც. საქართველო წარმოადგენს ევროპისა და აზიის გზაშესაყარს არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ მენტალურადაც. ამბიციასთან ერთად, ჩაითვალოს საქართველო ევროპული ტიპის ნაციად, ქვეყანაში ძლიერია პატრიმონიალური ურთიერთობის ტრადიციაც. ტრაიბალიზმი, ნეპოტიზმი, თუ ქრონიზმი, რაც კლიენტელურ ურთიერთობებში პოულობს გამოხატვას, ცხოვრების წესს ქმნის.

ასეთ პირობებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ქვეყნისათვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს. აღნიშნული პროცესის ხელშეწყობაში, ადგილობრივ აქტორებთან ერთად, გადამწყვეტი როლი დასავლეთის მხრიდან მორალური თუ მატერიალური დახმარების ფაქტორს ენიჭება.

## საკანონმდებლო ბაზა

დამოუკიდებლობის ხელახლი მოპოვების შემდგომ საქართველოში დაიწყო და 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით გაძლიერდა საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბების პროცესი.

ქართული პარლამენტარიზმის ცამეტწლიანი არსებობის მანძილზე ქვეყანაში მიღებულია 300-ზე მეტი კანონი და რამდენიმე ასეული იურიდიული დოკუმენტი. საქართველო შეუერთდა მრავალ საერთაშორისო კონვენციას თუ ხელშეკრულებას. ქვეყანაში თანადათან ყალიბდება კანონშემოქმედების კულტურა.

ამავე დროს აღნიშნულ პროცესში თავი იჩინა მრავალმა ნეგატიურმა ასპექტმა.

უპირველეს ყოვლისა მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მიღებულ კანონთა უმეტესობა ქალალდზე დარჩა და რეალურად არ მუშაობს. მათ ადგილს საზოგადოებრივ ურთიერთობაში არაფორმალური, ხშირად უკანონო ურთიერთობები იკავებენ.

კანონშემოქმედების პროცესში ორი მნიშვნელოვანი ტენდენციის გამოკვეთა შეიძლება:

- იურიდიული დოკუმენტების ნაწილი იქმნება დასავლეთის თვალში ქვეყნის დემოკრატიული იმიჯის შესაქმნელად და გასაძლიერებლად. უმთავრესი ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, რომ საკანონმდებლო ბაზა გამოხატავდეს დემოკრატიულ ღირებულებებს და არავინ ფიქრობს იმაზე, რომ მათი რეალური ამოქმედება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, შეუძლებელია.
- კანონთა მეორე ჯგუფს ქმნის ის დოკუმენტები, რომლებიც ცალკეული კლანების, პოლიტიკური ძალებისა თუ ბიუროკრატიის ინტერესების ლობირების პროდუქტს წარმოადგენს. ხშირად ძალის იოლია, ამა თუ იმ კანონს უკან დავინახოთ არა მარტო ესა თუ ის პოლიტიკური დაჯგუფება, არამედ ცალკეული გავლენიანი პირიც, რომლის ინტერესებზე "მორგებითაცაა" შექმნილი ესა თუ ის დოკუმენტი.

მეორე მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის თვით კანონშემოქმედებითი პროცესის დაუხვეწაობა. კანონთა დიდი ნაწილი უკანონო, კულტურული გარიგებების შედეგად იქმნება. პოლიტიკურ ბატალიებს თუ პიროვნულ ანგარიშსწორებებს ხშირად ემსხვერპლება ხოლმე საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესები. არც თუ ისე იშვიათ მოვლენას წარმოადგენს პროცედურების უხეში დარღვევა და თვით პარლამენტში წარსადგენი დოკუმენტაციის გაყალბების ფაქტები. ასეთის სახის დარღვევათა თვალსაჩინო მაგალითია ქვეყნის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესი. ფაქტიურად ყოველ წელს ოპტიმისტური პროგნოზების ფონზე მთავრობას შემოაქვს ბიუჯეტის პროექტი, რომელშიც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული ცალკეული ეკონომიკური თუ პოლიტიკური ჯგუფების, ასევე ბიუროკრატიის ინტერესები. ბიუჯეტის პროექტის განხილვა პოპულისტური დამაგოგიის საგნად იქცევა ხოლმე. ასეთ ფონზე მიმდინარეობს კულტურული გარიგებები სხვადასხვა ფრაქციას თუ დეპუტატთა ჯგუფებს შორის. საბოლოოდ ცალკეული ლობისტური ინტერესების დაკმაყოფილება ხდება უმნიშვნელოვანები სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროგრამების ხარჯზე. ამასთან, როგორც წესი, ბიუჯეტის შესრულება შემოსავლების ნაწილში დაუძლეველ პრობლემას წარმოადგენს, რასაც წლის ბოლოს ტრადიციულად სეკვესტრი მოხდევს ხოლმე.

მესამე უმთავრესი პრობლემაა კანონთა ურთიერთშეუსაბამობა. ხშირად სხვადასხვა კანონი ეწინააღმდეგება არა მარტო ერთმანეთს, არამედ საკუთარ თავსაც. არის შემთხვევები, როცა ერთი და იგივე კანონის სხვადასხვა მუხლი ურთიერთგამომრიცხველ პოსტულატებს შეიცავს. ამ გარემოებას განაპირობებს როგორც დეპუტატთა კორპუსის იურიდიული განათლების დაბალი დონე, ისე, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ისიც, რომ ამა თუ იმ საკანონმდებლო დოკუმენტის შექმნისას ცალკეული თავებისა თუ მუხლების ფორმულირება ცალკეულ ინტერესთა ჯგუფების მოთხოვნათა გათვალისწინებით ხდება.

და ბოლოს, დიდი სირთულეებია კანონთა ამოქმედებასთან დაკავშირებით. ყოველდღიურ პრაქტიკაში ნაკლები ყურადღება ექცევა კანონთა და კანონქვემდებარე აქტთა იქრარქიულობის პრინციპს. ხშირია შემთხვევა, როცა არა თუ რომელიმე კანონი, არამედ პრეზიდენტისა და მინისტრის

ბრძანებულება ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და იერარქიულად უფრო მაღლა მდგომ სხვა კანონებს. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, ბიუროკრატია ამჯობინებს იმოქმედოს იმ, ხშირად უფრო დაბალი რანგის მქონე დოკუმენტით, რომელიც უფრო კარგად ასახავს მის მერკანტილურ ინტერესს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას ქვეყანაში რამდენიმე უმთავრესი კანონი არეგულირებს. ამ კანონთა შორის პირველ რიგში უნდა დასახელდეს საქართველოს კონსტიტუცია (მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს), სადაც ჩამოთვლილია საქართველოს მოქალაქეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი. პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ (1997 წლის 31 ოქტომბერი). არასამთავრობო ორგანიზაციების უფლება-მოვალეობებს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (1997 წლის 26 ივნისი), ხოლო მასმედიის საშუალებებისას - საქართველოს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ (1991 წლის 10 აგვისტო). საქართველოში არ არსებობს კანონი რელიგიის შესახებ. ერთადერთი დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა, არის კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის (2002 წლის 14 ოქტომბერი).

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს მოქალაქეთა ძირითად უფლება-მოვალეობებს. კონსტიტუციით გარანტირებულია ხალხის, როგორც უმთავრესი სუვერენის უფლებები<sup>1</sup>. კონსტიტუცია აცხადებს თანაბარ უფლებებს საქართველოს უკელა მოქალაქისათვის<sup>2</sup>. ამავე დროს

---

#### **<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია**

##### **მუხლი 5.**

1. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დაგენილ ფარგლებში.
2. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

#### **<sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუცია**

##### **მუხლი 13.**

1. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.

##### **მუხლი 14.**

უკელა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და ხოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

##### **მუხლი 19.**

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

##### **მუხლი 38.**

1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ

იგი იძლევა აღნიშნული უფლებების დაცვის გარანტიებს<sup>3</sup>. კონსტიტუციით გარანტირებულია აღნიშნული უფლებებისა და თავისუფლებების პრიმატი კანონმდებლობის სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში<sup>4</sup>.

ასე მაგალითად, კონსტიტუციით გარანტირებულია საქართველოს მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობდნენ პოლიტიკური გაერთიანებების საქმიანობის პროცესში<sup>5</sup>. პოლიტიკური პარტიების შექმნის და კონკრეტული საქმიანობის წესს, ასევე დაწესებულ შეზღუდვებს განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ. აღნიშნული კანონით განსაზღვრულია პოლიტიკური გაერთიანების მისია და მიზნები, აგრეთვე მასში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლება<sup>6</sup>. კანონით განსაზღვრულია პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის წესი და მისი სტატუსი<sup>7</sup>. იგივე

---

ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედამიწის პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წეობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

### <sup>3</sup> საქართველოს კონსტიტუცია

#### მუხლი 7.

სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუგალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. სელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულია ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

### <sup>4</sup> საქართველოს კონსტიტუცია

#### მუხლი 6.

1. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.
2. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო სელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

### <sup>5</sup> საქართველოს კონსტიტუცია

#### მუხლი 26.

2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.

### <sup>6</sup> საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ

#### მუხლი 1.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (შემდგომში-პარტია) არის საერთო მსოფლიხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია ამ კანონით დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში.

#### მუხლი 8.

პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება აქვს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეს.

### <sup>7</sup> საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ

კანონი აწესებს პოლიტიკური პარტიების საქმიანობის შეზღუდვებსა და მათი საქმიანობის შეჩერების წესსაც<sup>8</sup>.

არასამთავრობო, არამოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციების შექმნის, საქმიანობის, მათზე კონტროლისა და მათი ლიკვიდაციის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. უპირველეს ყოვლისა მათი დეფინიცია მოცემულია კოდექსის მეორე თავში (იურიდიული პირები)<sup>9</sup>. კოდექსი განსაზღვრავს ანალოგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის წესსაც<sup>10</sup>. განსაზღვრულია

#### მუხლი 2.

პარტია, როგორც თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნაწილი, არჩევნების მეშვეობით და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საშუალებებით მონაწილეობს მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ფორმირებასა და გამოხატვაში.

#### მუხლი 4.

პარტია არის არასამეწარმეო იურიდიული პირი. მასზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ის დებულებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კანონს.

<sup>8</sup> საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ

#### მუხლი 6.

დაუშვებელია პარტიის შექმნა რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნის მიხედვით.

#### მუხლი 9.

საქართველოს მოქალაქე შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი პარტიის წევრი.

#### მუხლი 35.

პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

#### მუხლი 36.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია აკრძალოს პარტია, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეწის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება.

<sup>9</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

#### მუხლი 24. ცნება. სახეები.

2. იურიდიული პირი შეიძლება იყოს: კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებული, და მისდევდეს ან არ მისდევდეს მეწარმეობას.

#### მუხლი 30. არასამეწარმე (არაკომერციული) იურიდიული პირები.

1. იურიდიული პირი, რომლის მიზანსაც არ შეადგენს სამეწარმეო საქმიანობა, შეიძლება არსებობდეს როგორც კავშირი (ასოციაცია) ან ფონდი...

2. კავშირი არის იურიდიული პირი, რომელშიც საერთო მიზანს ისახავს რამდენიმე პირი და მისი არსებობა დამოუკიდებელია მასში წევრთა შემადგენლობის ცვლილებისაგან. კავშირის დასაფუძნებლად აუცილებელია ხუთი დამფუძნებელი წევრი მაინც.

3. ფონდი არის იურიდიული პირი, როცა ერთი ან რამდენიმე დამფუძნებელი სპეციალურ ქონებას საერთო-საზოგადო სასამართლო მიზნის მისაღწევად საკუთრებად გადასცემს დამოუკიდებელ სუბიექტს, რომელსაც არა ჰყავს წევრები.

#### მუხლი 45. არარეგისტრირებული კავშირი.

1. არარეგისტრირებული კავშირის მოწყობისა და სტრუქტურის საკითხები განისაზღვრება წევრთა ურთიერთშეთანხმებით. არარეგისტრირებული კავშირი არ არის იურიდიული პირი.

<sup>10</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

#### მუხლი 31. კავშირისა და ფონდის რეგისტრაცია.

1. კავშირის რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო, ხოლო ფონდისას - იუსტიციის სამინისტრო.

არასამთავრობო ორგანიზაციათა საქმიანობის ჩარჩოები, ასევე მათი წევრობის პრინციპები<sup>11</sup>. არასამთავრობო, არაპარტიული, არამოგებაზე ორიენტირებული სამოქალაქო ორგანიზაციები კოდექსით განსაზღვრულ პირობების ფარგლებში ქმნიან თავიანთი ორგანიზაციების მმართველობით სტრუქტურებს<sup>12</sup>. ცალკე მუხლების განსაზღვრავენ არასამთავრობო ორგანიზაციებზე სახელმწიფო კონტროლის, მათი ლიკვიდაციისა და ან მისისა და მიზნის შეცვლის წესს<sup>13</sup>. სახელმწიფოს წინაშე არასამთავრობო ორგანიზაციათა ფინანსური გალდებულებები რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების თავისუფალი ფუნქციონირება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით<sup>14</sup>. უშუალოდ მასმედიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს კანონით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს კანონი ერთადერთია იმ უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო აქტთა შორის, რომელიც სახელმწიფო გადატრიალებამდე, პრეზიდენტ ზეიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში იყო მიღებული და შემდგომში განხორციელებული ორი შესწორების მიუხედავად, არ მომხდარა მისი ძირეული შეცვლა. მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს საინფორმაციო საშუალებათა უფლებებს<sup>15</sup>.

<sup>11</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 25. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა.

2. კერძო სამართლის იურიდიულ პირს (სამეწარმეოსა თუ არასამეწარმეოს) უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებაში გათვალისწინებული.

მუხლი 44. კავშირის წევრობა.

1. კავშირში წევრად მიღება ხდება გამგეობის მიერ მსურველის წერილობითი განცხადების საფუძველზე ან წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

<sup>12</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 36. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.

1. ხელმძღვანელობის უფლება აქვთ გამგეობის წევრებს და, ცალკეულ შემთხვევებში, სპეციალურ წარმომადგენლებს. ეს ამავე დროს მათ მოვალეობას შეადგენს.

<sup>13</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 35. სახელმწიფო კონტროლი კავშირისა და ფონდის საქმიანობაზე.

სასამართლო (იუსტიციის სამინისტრო) უნდა გააუქმოს რეგისტრაცია, თუ კავშირი ან ფონდი არსებითად გადაიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, ან თუ წესდებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელება შეუძლებელი ხდება.

მუხლი 39. კავშირისა და ფონდის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

2. კავშირისა და ფონდის ლიკვიდაცია ხდება წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში, მიზნის მიღწევის შედეგად, გაორტრების ან რეგისტრაციის გაუქმებისას.

<sup>14</sup> საქართველოს კონსტიტუცია

მუხლი 24.

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვის და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგარი საშუალებით.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფლად. ცენზურა დაუშვებელია.

3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

<sup>15</sup> საქართველოს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ

ზემოხსენებული კანონის ცალკე მუხლებითაა განსაზღვრული მასმედიის საქმიანობის ძირითადი პრინციპები<sup>16</sup>. აქვეა განსაზღვრული საინფორმაციო საშუალებათა რეგისტრაციის, მის საქმიანობაზე სახელმწიფოს მხრიდან კონტროლისა და საქმიანობის თავისუფლების შეზღუდვის წესი<sup>17</sup>.

რელიგიის თავისუფლების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით<sup>18</sup>. საქართველოს სახელმწიფოს ურთიერთობა რელიგიურ

#### მუხლი 1. პრესის თავისუფლება.

საქართველოში პრესი და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები თავისუფლადია. ეს თავისუფლება რესპუბლიკის კონსტიტუციით არის გარანტირებული. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ გამოთქვან, გაავრცელონ და დაიცვან თავიანთი თვალსაზრისი ინფორმაციის ნებისმიერი საშუალებით, აგრეთვე მოიპოვონ ინფორმაცია საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრების საკითხებზე. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცენზურა დაუშვებელია.

<sup>16</sup> საქართველოს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ

<sup>17</sup> 19. მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ინფორმაციის მიღების უფლება.

საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ოპერატორებიდ მიიღონ ცნობები სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივ - პოლიტიკური გაერთიანებებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ ინფორმაცია მიიღონ სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებების ან თანამდებობის პირებისაგან, აგრეთვე მოითხოვონ საჭირო დოკუმენტები. უარის შემთხვევაში მათ უფლება აქვთ მიმართონ ზემდგომ ორგანოებს ან სასმართლოს.

<sup>18</sup> საქართველოს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ

#### მუხლი 4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების შეზღუდვა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

#### მუხლი 10. რეგისტრაციაზე უარის თქმა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაციაზე შეიძლება უარი ითქვას:

- ა) თუ მისი მიზნები ამ კანონს ეწინააღმდეგება;
- ბ) თუ არსებობს ამავე სახელმწიფების სხვა გამოცემა;
- გ) თუ აკრძალული მასობრივი ინფორმაციის საშუალების გაუქმებიდან არ არის გასული ერთი წელი.

#### მუხლი 12. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის შეწერება ან შეწყვეტა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობა შეიძლება შეწერდეს ან შეწყდეს, თუ განმეორებით დაირღვა კანონი, რითაც ხელი ეწოდება დანაშაულს, საფრთხე ექმნება სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას

... მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის სრული შეწყვეტა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს.

<sup>18</sup> საქართველოს კონსტიტუცია

#### მუხლი 9.

1. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

2. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

ორგანიზაციებთან არ არის ცალკე კანონით განსაზღვრული, თუ არ ჩავთვლით კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, რომელის მიღების აუცილებლობა კონსტიტუციით არის დადგენილი. შეთანხმების (კონკორდატის) თანახმად, დგინდება ორმხრივი თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები და ჩარჩოები<sup>19</sup>. მართმადიდებლური ეკლესიის მსხაურნი იღებენ იმ უფლებებს, რომელიც არ გააჩნდათ საბჭოთა პერიოდის მანძილზე<sup>20</sup>. ცალკე არის განსაზღვრული საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ქონებრივი მდგომარეობის საკითხი - ეკლესიას გადაეცემა საბჭოთა პერიოდში განხორციელებული სეკულარიზაციის შედეგად დაკარგული ქონების ნაწილი. აქვეა განსაზღვრული, რა ფასეულობები რჩება სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივი განმგებლობის ქვეშ<sup>21</sup>.

ამრიგად სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა მეტნაკლებად უკვე ჩამოყალიბებულია. სხვა საკითხია, რამდენად სრულყოფილია იგი. მაგალითისათვის, კანონმდებლობაში, განსაკუთრებით ფინანსურ და საგადასახადო უფლებამოვალეობათ საკითხი ნათლად არ არის ჩამოყალიბებული.

<sup>19</sup> კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის შუხლი 1.

1. სახელმწიფო და ეკლესია ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ ადასტურებენ მზადეოფნას, ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით.

შუხლი 4.

3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განხორციელონ მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთობლივი პროგრამები.

შუხლი 5.

1. საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლება წებაყოფლობითია. სასწავლო პროგრამების დადგენა, შეცვლა, პედაგოგთა დანიშვნა და გათავისუფლება ხდება ეკლესიის წარდგინებით.

<sup>20</sup> კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის

შუხლი 2.

სახელმწიფო მხარეს უქერს აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოს დაცვას. სასულიერო პირი ვალდებულია, არ გასცეს ინფორმაცია, რომელიც მას, როგორც სულიერ მოძღვარს, გაანდეს ან მისთვის, როგორც სასულიერო პირისათვის, გახდა ცნობილი.

<sup>21</sup> კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის

შუხლი 7.

1. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არაომქმედს) მათ ნანგრევებს, აგრეთვა, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული.

შუხლი 8.

1. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს სახელმწიფო დაცვაში (მუხუმუშებში, საცავებში) მყოფ საეკლესიო საგანმურს (კურძო საკუთრებაში არსებული ნაწილის გარდა).

2. ზემოთაღნიშნული საეკლესიო საგანმურს, როგორც საერთო ეროვნული საგანმურის ნაწილი, არის სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ მფლობელობაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (წმინდა ნაწილებისა და წმინდა რელიგიურის გარდა).

ქვეყანაში ფაქტიურად მნელია როგორც სახელმწიფო მოხელის, ისე დამოუკიდებელი ექსპერტის პოვნა, რომელსაც დანამდვილებით შეუძლია განმარტოს, რა სახის ფინანსური შედავათები გააჩნიათ არასამთავრობო ორგანიზაციებს. არ არის მიღებული კანონი საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ და ა.შ.

## განვითარების ეტაპები

იმისათვის, რომ ნათლად იქნეს წარმოდგენილი საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობის ამსახველი სურათი, აუცილებელია მისი ცალკეული სეგმენტების განვითარების ეტაპებისათვის თვალის გადავლება. ის პრობლემები თუ მიღწევები, რომლებიც პოლიტიკური პარტიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მასმედიას თუ რელიგიურ ორგანიზაციებს ახასიათებთ, შეუძლებელია გააზრებულ იქნას მათ მიერ განვლილი განვითარების გზის გათვალისწინების გარეშე.

**პოლიტიკური პარტიების ისტორიის თანამედროვე ეტაპი XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან იწყება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური გაერთიანებები საქართველოში უკვე საუკუნენახევარია, რაც არსებობს.**

საქართველოში პოლიტიკური პარტიების ისტორია სათავეს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იღებს. XX საუკუნის დასაწყისში ქვეყანაში უკვე მოქმედებდა რამდენიმე პოლიტიკური პარტია, რომელთაგან უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალ-ფედერალისტური პარტიები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წლები) აღნიშნული პარტიები შედიოდნენ ქვეყნის პარლამენტში, ხოლო ქვეყანაში მმართველ ძალას საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტია წარმოადგენდა.

ბოლშევკური რუსეთის მხრიდან საქართველოს ოკუპაციამ (1921 წელი) და ქვეყნის შეუვანამ საბჭოთა კავშირის შემაღენლობაში (1922 წელი) შეაფერხა პოლიტიკური პარტიების განვითარების პროცესი. ქვეყანაში აკრძალულ იქნა ყველა პოლიტიკური პარტია, კომუნისტური პარტიის გარდა. პოლიტიკური პარტიების უმეტესობა ლიკვიდირებულ იქნა, ხოლო განსაკუთრებით ძლიერი პარტიების ხელმძღვანელი ორგანოები ემიგრაციაში განაგრძოდნენ ფუნქციონირებას. საბჭოთა პერიოდში საქართველოში პოლიტიკური ოპოზიცია მცირერიცხვანი დისიდენტური ჯგუფებით იყო წარმოდგენილი, რომლებიც რეალურ ზეგავლენას ვერ ახდენდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე და რომელთა წევრებიც დროგამოშვებით საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში (გულაგის სიტემა) იყვნენ იზოლირებულნი.

XX საუკუნის 80-იან წლებში გორბაჩოვის მმართველობის პერიოდში საბჭოთა კავშირში დაწყებულმა დემოკრატიზაციის პროცესმა საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ხელი შეუწყო

დისიდენტური ჯგუფების პოლიტიკურ პარტიებად ჩამოყალიბების პროცესს. ამ პერიოდისათვის ქვეყანაში ყალიბდება რამდენიმე პოლიტიკური დაჯგუფება, რომელთაც პოლიტიკურ პარტიებად გარდაქმნის პრეტენზია გააჩნიათ. ეს დაჯგუფებები, როგორც წესი, ატარებდნენ 1921 წლამდე მოქმედი პოლიტიკური პარტიების სახელებს, თუმცა ამ უკანასკნელებთან, არც საქმიანობის წესით და არც პროგრამებით ბევრი არაფერი პქონდათ საერთო (მაგ. ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული პარტიები).

პოლიტიკური პარტიების აბსოლუტური უმეტესობა ნაციონალისტური იდეოლოგიითა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით გამოდიოდა. მათ შორის ყველაზე გავლენიანებმა გაიმარჯვეს კიდეც 1990 წლს გამართულ პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში და ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ.

მალე ქვეყნის პოლიტიკურ ძალებში თავი იჩინა განხეთქილებამ, ხელისუფლებას (პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია) დაუპირისპირდა არა მარტო პარლამენტს გარეთ დარჩენილი თუ საპარლამენტო ოპოზიცია, არამედ მმართველ ბლოკში შემავალი პოლიტიკური ძალების ნაწილიც. დაპირისპირებამ სამოქალაქო ომის სახე მიიღო და 1992 წლის დასაწყისში ხელისუფლების დამხობით დასრულდა.

ქვეყნის მმართველობის სათავეში მოსულმა პოლიტიკურმა ძალებმა კოლექტიური მმართველობის ორგანო, სახელმწიფო საბჭო შექმნეს. მასში შევიდა ქვეყანაში მოქმედი ყველა, დიდი თუ მცირე პოლიტიკური დაჯგუფება, ექსპრეზიდენტის აშკარა მხარდაჭერი პოლიტიკური ძალების გარდა.

1992 წლის არჩევნებმა მოახდინა ახალი ხელისუფლების იურიდიული ლეგიტიმაცია. შეიქმნა მრავალპარტიული პარლამენტი, სადაც გადამწყვებ უპირატესობას ვერც ერთი პოლიტიკური პარტია თუ პარტიათა ბლოკი ვერ ქმნიდა და სადაც სახელისუფლო ძალები ერთი პიროვნების, ედუარდ შევარდნაძის გარშემო იყვნენ გაერთიანებულნი.

1995 და 1999 წლების საპარლამენტო არჩევნებმა გამოკვეთა წამყვანი პოლიტიკური ძალის, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის დომინანტობა. აქარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ხელისუფლების სათავეში მოვიდა დემოკრატიული აღორძინების კავშირი, რომელსაც ავტონომიის ლიდერი ასლან აბაშიძე ხელმძღვანელობდა.

აღნიშნულ პერიოდში ჩამოყალიბდა პოლიტიკურ ძალთა ორი ტიპი:

- სახელისუფლო გაერთიანებები (საქართველოს მოქალაქეთა კავშირი და დემოკრატიული აღორძინების კავშირი), რომლებიც თავის შემადგენლობაში აერთიანებენ ნომენკლატურის, ადგილობრივი პოლიტიკური თუ ეკონომიკური კლანებისა და პროსამთავრობო ძალების წარმომადგენლებს, გააჩნიათ მნიშვნელოვანი მატერიალური თუ სახელისუფლებო ბერკეტები საკუთარი ძალაუფლების უზრუნველსაყოფად. ეს ძალები, როგორც წესი, საარჩევნო პროცედურების უხეში დარღვევის, ამომრჩეველთა დაშინების ან მოსყიდვის გზით, კენჭისყრის შედეგების გაყალბების შედეგად

იმარჯვებენ არჩევნებში და როგორც წესი, იგნირირებას უკეთებენ სხვა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს.

- მცირერიცხოვანი პოლიტიკური ჯგუფები და პარტიები, სადაც პარტიათა სახე, როგორც წესი, ცალკეულ ლიდერებთან ასოცირდება. მათ არ გააჩნიათ საქმარისი ფინანსური რესურსები არჩევნებში გასამარჯვებლად და ფაქტიურად ან მუდმივი ოპოზიციის როლს თამაშობან, ან ახერხებენ ალიანსში შევიდნენ რომელიმე სახელისუფლებო პარტიასთან და ამით გააძლიერონ ამ უკანასკნელთა პოზიციები.

ბოლო 2-3 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაძლიერდა პოლიტიკურ გაერთიანებათა ახალი ტიპი. ცალკეული ქარიზმატიკული ლიდერების გარშემო შექმნილი გაერთიანებები, რომლებიც გამოირჩევიან პოტულისტური დემაგოგიის მაღალი ხარისხითა და ხელისუფლების კრიტიკით და შეძლეს მოქმედობის ქვეყნის მარგინალიზებული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი.

მიუხედავად იმისა, თუ რომელ კატეგორიას ეკუთვნის პოლიტიკური პარტია, მათ აერთიანებთ ჩამოყალიბებული სტრატეგიული ხედვისა და ნათელი პოლიტიკის არარსებობა. შედარებით სერიოზული გავლენის მქონე პარტიათა აბსოლუტური უმრავლესობის უმთავრეს მიზანს არჩევნებში გამარჯვებისა თუ უფრო ძლიერ პარტიებთან კაშირის შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსვლა და მათი გავლენიანი წევრების მნიშვნელოვანი თანამდებობებით დაკმაყოფილება წარმოადგენს. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი მიღებული თანამდებობებს უკანონო შემოსავლების მისაღებად იყენებენ, რომლის ნაწილიც მათი მხარდაჭერი პარტიების შემდგომი საქმიანობისათვისაა განკუთვნილი.

საერთოდ პარტიათა ყოველ ამ ტიპს პერსონალის, ხარიზმატიკულის თუ ნაკლებსარიზმატიკულის, მაგრამ გავლენიანი წევრების გადამწყვეტი როლი აერთიანებს.

**არასამთავრობო ორგანიზაციების** ჩასახვის პროცესი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდს ემთხვევა.

საბჭოთა პერიოდში საქართველოში, ისე როგორც მთელ სოციალისტურ ბანაკში, არსებობდა კვაზიარასამთავრობო ორგანიზაციები. ასეთი ტიპის ორგანიზაციებს მიეკუთვნებოდნენ პროფესიული ასოციაციები (მწერალთა, კომპოზიტორთა, კინემატოგრაფისტთა, მხატვართა კავშირები). რეალურად აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობაზე სრულ კონტროლს ხელისუფლება, კონკრეტულად კი კომუნისტური პარტია ახორციელებდა. ამ ორგანიზაციებში მოხვედრა მათ წევრებს სხვადასხვა სახის პრივატულებებს უქმნიდა: ისინი იღებდნენ ფულად ჯილდოებს ხელისუფლებისაგან, მათვის იოლი იყო პრესტიჟულ კურორტებზე დასვენება, ხელისუფლება მათვის გამოყოფა ავტომანქანებსა და საცხოვრებელ ბინებს დედაქალაქის პრესტიჟულ უბნებში. სამაგიეროდ აღნიშნულ ელიტარულ კასტას ერთი რამ ევალებოდა - ყოფილიყო სახელმწიფო სისტემის მეხოტე და პროპაგანდა გაეწია კომუნისტური პარტიის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური კურსისათვის.

საქართველოში XX საუკუნის 80-იან წლებში წარმოიშვა დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მთელი წელი. მათ განმასხვავებელ ნიშანს მეტისმეტი პოლიტიზაცია წარმოადგენდა. პირველ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წარმოადგენენ კავკასიური კლუბი, რუსთაველის საზოგადოება, საქართველოს მწვანეები და ა.შ., რომელთა დიდმა ნაწილმაც შემდგომში საერთოდ შეწყვიტა არსებობა ან უკვე მიზერულ როლს ასრულებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამავე დროს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რაოდენობამ სწრაფად იმატა.

ახლადაღმოცენებული მესამე სექტორის სწრაფ ზრდას რამდენიმე გარემოება განაპირობებდა:

- ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა ინტელექტუალთა აბსოლუტური უმრავლესობა სკეპტიკურად განაწყო ხელისუფლებისადმი. საჯარო სამსახური არაპრესტიულ სფეროდ იქცა, ამავე დროს მაღალი თანამდებობების დაკავება კორუფციული მექანიზმების გამოყენების გარეშე ფაქტიურად წარმოუდგენელი იყო. ასე რომ, საზოგადოების ის ფენა, რომელიც ინტელექტუალური შრომით იყო დაკავებული და რომელსაც, ამავე დროს, არ სურდა მორალურ კომპრომისზე წასვლა, მესამე სექტორში იწყებს გადანაცვლებას.
- არანაკლები როლი აღნიშნულ პროცესში ითამაშა დასავლეთის ფინანსურმა მხარდაჭერამაც. ქვეყანაში შემოდიან საქველმოქმედო ფონდები, რომლებიც უხვად გასცემდნენ გრანტებს სხვადასხვა სფეროში. აღნიშნული გარემოების წყალობით, არსებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე, არასამთავრობო ორგანიზაციებმა უზრუნველყველ მესამე სექტორში დასაქმებული პირების საკმაოდ მაღალი შემოსავალი მოსახლეობის საშუალო შემოსავალთან შედარებით. მაგალითისათვის, სხვადასხვა სახის პროგრამებში, რომელთა განსახორციელებლადაც გაიცემოდა გრანტები, დასაქმებულ პირთა თვიური ხელფასი 100-200 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობდა მაშინ, როცა საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა ხელფასი თვეში 5-10 აშშ დოლარის ექვივალენტს შეადგენდა.
- არასამთავრობო ორგანიზაციებში ინტელექტუალთა მოსაზიდად არსებობდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოტივაცია - ადამიანებს შეეძლოთ ეთქვათ და დაეწერათ ის, რასაც ფიქრობდნენ. სახელმწიფოს მხრიდან ცენზურა ფაქტიურად არ იგრძნობოდა. მესამე სექტორი იყო ის სფერო, სადაც, სახელმწიფო სექტორისაგან განსხვავებით, იოლად შეიძლებოდა საკუთარი თავის შედარებით სრული რეალიზაცია. ამასთან სახელმწიფო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გარდა სხვა აღტერნატივა ინტელექტუალთათვის ფაქტიურად არ არსებობდა. კერძო სექტორი ამ პერიოდში ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა და აშკარად კრიმინალურ ელფერს ატარებდა.

უოველივე ზემოთქმულმა ხელი შეუწყო არასამთავრობო ორგანიზაციათა სწრაფ განვითარებას, განსაკუთრებით 90-იანი წლების შუახანებიდან მოყოლებული.

სამოქალაქო ორგანიზაციების განვითარების პროცესში სამი ეტაპის გამოყოფა შეიძლება.

1. ჩასახვისა და ადრეული ფუნქციონირების პერიოდი (1992-1995 წლები). ამ პერიოდში სახელმწიფოს არ ეცალა დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე კონტროლის დასაწესებლად. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური დაპირისპირება სახელმწიფო აპარატის მთელ ენერგიას ნოქავდა. ამავე დროს სექტორი, რომელიც ჯერ კიდევ სუსტი იყო, არ წარმოადგენდა რეალურ საფრთხეს კორუმპირებული ბიუროკრატიისათვის.
2. "ოაზისური" პერიოდი (1995-1999 წლები). დროის ამ მონაკვეთში მიმდინარეობს არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხობრივი და ხარისხობრივი ზრდა. მესამე სექტორი თანდათან აფართოებს თავის საქმიანობას და მისი ხმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო მეტად ისმის. სახელმწიფო ამ ეტაპზეც არ ერევა მესამე სექტორის საქმიანობაში, მართალია არასამთავრობოთა საქმიანობა ხელისუფლებას უკვე გარკვეულ პრობლემებს უქმნის, მაგრამ დასავლეთის თვალში დემოკრატიული იმიჯის შენარჩუნების სურვილი აშკარად ჭარბობს განსხვავებულ აზრზე ცენზურის დაწესების მოთხოვნილებას.
3. მესამე სექტორის დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ძალად ჩამოყალიბების პერიოდი (1999 წლიდან). ამ ეტაპზე არასამთავრობო ორგანიზაციები აკეთებენ სერიოზულ განაცხადს, რომ შეუძლიათ საზოგადოებრივ პროცესებზე ზემოქმედება. ამავე დროს ხელისუფლების მხრიდან შეინიშნება მცდელობა, თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენონ სექტორის იმიჯი და უნარები. ზემოთქმულის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტი ჩასახული ინიციატივა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან მოეხდინათ. მართალია ამ იდეის განხორციელება ვერ მოხერხდა პოლიტიკურ ძალთა ურთიერთდაპირისაპირების გამო, მაგრამ მესამე სექტორის თანხმობამ, მონაწილეობა მიედო აღნიშნულ პროცესებში, ხელისულება დაარწმუნა არასამთავრობოთა სერიოზულ ამბიციებში და მთავრობის მხრიდან სექტორისადმი ნებატიური დაინტერესების ზრდას შეუწყო ხელი. მთავრობამ გააძლიერა მცდელობები, ფინანსური და იურიდიული ბერკეტების გამოყენებით კონტროლი დაეწესებინა სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობაზე.

**მასობრივი საინფორმაციო საშუალებები** ბევრ რამეში იგივე პრობლემების წინაშე დგანან, რომელთა წინაშეც პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები აღმოჩნდნენ.

დღევანდელ ქართულ მედიას ისევე ცოტა აქვს საერთო XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესასთან, როგორც დღეს მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს მათ წინამორბედებთან. ტრადიციის წყვეტისა და განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური გარემოს გამო, თანამედროვე ქართული მედია ისევე თავიდან იწყებს ცხოვრებას, როგორც ქართული პარტიები. ფაქტიურად შეუძლებელია ვისაუბროთ მემკვიდრეობითობაზე, თუ გავითვალისწინებთ 70-წლიან საბჭოური ტოტალიტარიზმის ეპოქას.

ქვეყნის უახლესი ისტორიის მანძილზე პირველ დამოუკიდებელ, სახელმწიფო ცენზურის კონტროლისგან თავისუფალი პრეცედენტის წარმოადგენდა XX საუკუნის 80-იან წლებში, საბჭოთა კავშირში დაწყებული პერესტროიკის პირობებში გახშირებული დისიდენტური გამოცემები სწორედ ეს გამოცემები შეიძლება ჩაითვალოს დღევანდელი ბეჭდვითი საშუალებების წინამორბედად.

ეროვნული მოძრაობის ბოლო ეტაპზე და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩამოყალიბებას იწყებს დამოუკიდებელი, შედარებით დიდი ტირაჟის მქონე გამოცემები. ამავე პერიოდს მიეკუთვნება პირველი დამოუკიდებელი ელექტრონული მედიის საშუალებათა წარმოშობა.

მასმედიის საშუალებებმა თანდათან მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში და მათი გავლენა დღითიდან იწრდება. ამავე დროს აღსანიშნავია საზოგადოებრივ აზრზე მასმედიის სხვადასხვა საშუალებათა მიერ მოხდენილი ზემოქმედების ერთმანეთისაგან განსხვავებული ხარისხი. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, სხვადასხვა გამოკითხვის მიხედვით საშუალოდ 70%-ზე მეტი, ინფორმაციის ძირითად წყაროდ ტელევიზიას მიიჩნევს. გაზეთებისაგან მიღებული ინფორმაციის წილი 10%-ს არ აღემატება, ხოლო რადიოსი, შესაბამისად, 5% მოიცავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ მაღალია მოსახლეობის იმ ნაწილის რიცხვი (დაახ. 15%), რომელიც არც ერთ საინფორმაციო საშუალებას არ ენდობა<sup>22</sup>.

მასმედიის საშუალებები თავიანთი მდგომარეობითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან:

- ტელევიზია - საქართველოში ფუნქციონირებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ტელეკომპანიები. მართალია სხვადასხვა არხი თავისი შესაძლებლობებითა და სამაუწყებლო დაფარვის ზონით დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ მათ შორის შესაძლებელია ორი მსხვილი კომპანიის გამოყოფა. ესენია სახელმწიფო კომპანია პირველი

<sup>22</sup> მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის (თბილისი, საქართველო) მიერ არნოლდ ბერგშტრასერის ინსტიტუტის (ფრაიბურგი, გერმანია) დაკვეთით 1997 წელს ჩატარებული საერთოეროვნული გამოკითხვის მასალები. (იხ. Lurching to Democracy, From Agnostic Tolerance to Pious Jacobinism : Societal Change and People's Reactions. Baden-Baden. Nomos Verlagsgesellschaft. 2000) მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოკვლევის ჩატარებიდან 5 წელზე მეტი გავიდა, როგორც სხვადასხვა სახის მცირე გამოკითხვები აჩვენებენ, საზოგადოებრივ აზრში დიდი ცვლილება არ მომხდარა.

არხი და კერძო სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2<sup>23</sup>. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მაუწყებლობა ქვეყნის ტერიტორიის უფრო დიდ ნაწილს ფარავს, კერძო კომპანიების ინფორმაცია საზოგადოების უფრო დიდი ნაწილის ნდობას იმსახურებს. ამასთან საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მზადაა, საჭიროების შემთხვევაში გამოვიდეს თავისუფალი სიტყვის დასაცავად<sup>24</sup>.

- ბეჭდვითი მედიის საშუალებები შედარებით ნაკლები პოპულარობით სარგებლობს. ამის ერთერთ მიზეზად საზოგადოების დაბალი მსეიდველობითი უნარის უნდა დასახელდეს. საზოგადოების მხოლოდ ნაწილს აქვს საშუალება, სისტემატურად შეიძინოს გაზეთები. პრესის საერთო ტირაჟი, რომელშიც პოლიტიკური ორიენტაციის ფართო სპექტრია წარმოდგენილი, საკმაოდ მცირეა. უკელაზე პოპულარული გაზეთების ტირაჟი საშუალოდ 10-15 ათ. ეგზემპლარის ფარგლებში მერყეობს. სწორედ ეკონომიკური სიძნელეებიდან გამომდინარე, პრესაში უფრო ხშირია ისეთი ინფორმაციის წილი, რომელსაც ესა თუ ის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კრიმინალური დაჯგუფება უკვეთავს პოლიტიკურ ოპონენტთა დისკრედიტაციის მიზნით. გავრცელებული შეხედულებით, ნებიმიერი სახის მაკომპრომეტირებელი სტატიის შეკვეთა 100-200 ლარი ღირს.
- რადიო საზოგადოების ინფორმირების პროცესში შედარებით ნაკლებ როლს ასრულებს. ქვეყანაში მრავალი რადიოსადგურია, რომლებიც ძირითადად გასართობი ხასიათის პროდუქციას (ძირითადად მუსიკა) გადაცემს. საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემების რიცხვი მასშედის ამ სფეროში მეტად მცირეა. ამ უკანასკნელთა არსებობა დამახასიათებელია ძირითადად საზღვარგარეთ მოქმედი რადიოსადგურებისათვის (რადიო თავისუფლება, ამერიკის ხმა).

თუ დამოუკიდებლობის პირველ წლებში ხელისუფლება და პოლიტიკური თუ ეკონომიკური ელიტა დიდ უურადღებას არ აქცევდა მედიის მოღვაწეობას და ამ უკანასკნელზე ზემოქმედებისათვის ხშირად ძალადობას იყენებდა, შემდგომ წლებში სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა - მასშედი ანგარიშებასაწევი ძალა გახდა. შესაბამისად შეიცვალა მისადმი სახელისუფლებო ძალების დამოკიდებულებაც. დღეს უკელა ცდილობს თავი აარიდოს მედიის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლას. რა თქმა უნდა მედიის საშუალებებზე მუქარის, დაშინებისა და ზოგ

<sup>23</sup> ამ უკანასკნელის ფორმირებაში დიდი წვლილი მიუმდგით დასავლურ დონორებს (განსაკუთრებით USAID-ს). რუსთავი2-ის გადაცემები, განსაკუთრებით საინფორმაციო გამოშვება "კურიერი" და გადაცემა "60 წუთი", რომელიც კრიმინალური სამყაროსა და კორუმპირებული ელიტების მიერ ჩადენილ დაფარულ დანაშაულთა დამოუკიდებელ გამოძიებას აწარმოებს, მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

<sup>24</sup> ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა 2001 წლის ნოემბერში. როდესაც სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები შეიჭრნენ რუსთავი 2-ის ოფისში მისი დახურვის მიზნით, დედაქალაქში მასობრივი საპროტესტო გამოსვლები დაიწყო. მრავალათასიანმა მიტინგმა, რომელიც ქვეყნის პარლამენტის წინ რამდენიმე დღე მიმდინარეობდა, ხელისუფლების საქმიანობის სრული პარალიზება გამოიწვია და ქვეყანა ანარქიის საფრთხის წინაშე დააყენა. პრეზიდენტი იძულებული გახდა, გადაეცენებინა ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები, რათა საზოგადოებრივი აზრი დაეშოშმინებინა.

შემთხვევაში უურნალისტების ანგარიშსწორების შემთხვევები ახლაც სახეზეა, მაგრამ ძირითადი აქცენტი ახლა მოსყიდვაზე ან პირდაპირ შესყიდვაზე კეთდება<sup>25</sup> თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ დაშინებები და ანგარიშსწორებები ფარულად, ანტისაგაზეთო კამპანიის წამოწყების გარეშე მიმდინარეობს და გახმაურების შემთხვევაში ხელისუფლება ან ცალკეული პოლიტიკური დაჯგუფებები უკან იხვევნ და ფაქტების მიხუმათებას ცდილობენ ხოლმე.

ბოლო წლებში გამოიკვეთა ტენდენცია, როცა ოლიგარქიული წრები აქტიურად იწყებენ დამოუკიდებელი მედიის შესყიდვას ან ახალის დაარსებას. ასეთი სახის აქობა ჯერ გაზეთების მიმართ გამოიკვეთა, შემდეგ ტელეკომპანიებზეც გავრცელდა. ცალკეული გაზეთებისა თუ ტელეკომპანიების უკან ხშირად საკმაოდ ოდიოზური და კრიმინალურ სამყაროსთან დაკავშირებული პირები დგანან. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას გაზეთების მიმართ. სწორედ ამიტომ ბევრი გამოცემა ვერ აცდა ყვითელი პრესის დონეს, ამასთან ისინი რეატილური საინფორმაციო საშუალებების როლს ასრულებენ<sup>26</sup>.

სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს მოსახლეობის დიდი ნაწილის პოლიტიკური კულტურის დაბალი დონე - დემოკრატიული მმართველობის ტრადიციების არქონა და საკუთარ უფლებებში მოქალაქეთა დიდი ნაწილის გაუთვითცნობიერებლობა. იმისათვის, რომ მოხდეს გაზეთების უფრო დიდი ტირაჟით გავრცელება, მათი უმეტესობა იაფიასიან სენსაციებზე ხდება ორიენტირებული.

**რელიგიური ორგანიზაციები** საქართველოში განსხვავებულ ფაქტიურ და იურიდიულ სივრცეში იყოფებიან.

საქართველო წარმოადგენს მრავალკონფესიურ სახელმწიფოს. რელიგიურ უმრავლესობას შეადგენენ მართლმადიდებლები (მოსახლეობის 70%-ზე მეტი). მსხვილ კონფენსიებს წარმოადგენენ მუსლიმანი სუნიტები და შიიტები, ასევე სომხური გრიგორიანული ეკლესიის მრევლი. სხვა კონფენსიების მიმდევართა წილი (კათოლიკები, ბაპტისტები, იელოვას მოწმეები, იუდეველები და ა.შ.), საერთო ჯამში, 10%-ზე ნაკლებია.

ქართული საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისათვის მართლმადიდებლობა წარმოადგენს ქართველი ერის ტრადიციულ რელიგიას, რომელმაც ქართულ ენასთან ერთად, საუკუნეთა მანძილზე გადამწყვეტი როლი ითამაშა ქართული სახელმწიფოსა და ეთნოსის კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების პროცესში. მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიული დამსახურება საბჭოთა პერიოდშიც კი იყო გარკვეულწილად აღიარებული. თუ კომუნისტურმა

<sup>25</sup> მასშედიაზე ძალადობის ყველაზე გახმაურებულ შემთხვევას წარმოადგენდა ქვეყანაში ერთერთი პოპულარული ტელეჟურნალისტის, გიორგი სანაიას მკვლელობა 2001 წლის ზაფხულში.

<sup>26</sup> ტერმინი ოტო ფონ ბისმარკს ეკუთვნის. XIX საუკუნეში დასავლეთ ევროპაში უკვე საქმაოდ მომრავლდნენ გაზეთები, რომლებიც ოფიციალურად დამოუკიდებელნი იყვნენ, მაგრამ სინამდვილეში, სხვადასხვა მოტივაციის გამო, ევროპის სახელმწიფოების მთავრობათა პოლიტიკის მეხოტებებად, მთავრობათა მიერ ინსპირირებული სკანდალების და პროვიკაციების ხელშემწყობებად გვევლინებიან.

რეჟიმმა, განსაკუთრებით თავისი არსებობის პირველ წლებში, ძლიერი რეპრესიები განახორციელა ეკლესიის წინააღმდეგ (საეკლესიო ქონების სეკულარიზაცია, 1500-მდე ეკლესიის დანგრევა, სასულიერო პირთა ფიზიკური ლიკვიდაცია ან მათი მოღვაწეობის აკრძალვა და ა.შ.), მოგვიანებით აღნიშნული პოზიცია რამდენადმე შეარბილა და შეეცადა იგი საკუთარი იდეოლოგიის განსამტკიცებლად გამოეყენებინა. მხატვრულ ლიტერატურაში თუ ხელოვნების სხვა დარგებში, სასკოლო სახელმძღვანელოებში ხაზი ესმეოდა იმ გარემოებას, რომ მართლმადიდებლობა დადებითი მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში, რომ მან ხელი შეუწყო ერთმორწმუნე რუსეთთან დაახლოებას და ა.შ.

საზოგადოებაში თანდათან დამკვიდრდა აზრი მართლმადიდებლობის, როგორც ტოლერანტული რელიგიის პროგრესულობის შესახებ. ეს აზრი კიდევ უფრო განმტკიცდა ეროვნული მოძრაობის პერიოდში (XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარი), როცა კომუნისტური იდეოლოგიის და სისტემის კრიზისის პირობებში, მოიხსნა მთელი რიგი შეზღუდვები რწმენის თავისუფლად გამოხატვის სფეროში. მოსახლეობაში თანდათან ძლიერდება რელიგიური გრძნობები. ფუნქციონირებას იწყებს მრავალი ეკლესია და მონასტერი, შენდება ახლები.

მართლმადიდებლობისათვის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის რელიგიის ფაქტობრივი სტატუსის მინიჭებამ დღის წესრიგში დააყენა მისი სხვა კონფესიებთან ურთიერთობის საკითხი. სწორედ ამ პერიოდში იჩინა თავი მთელმა რიგმა სიძნელეებმა. ე.წ. ტრადიციული რელიგიებისადმი (ისლამი, ოუდაიზმი, კათოლიციზმი, გრიგორიანელობა) მართლმადიდებლურმა ეკლესიამ თავდაპირველად შემწყნარებლური პოზიცია დაიკავა, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოსათვის არატრადიციულ რელიგიური მიმდინარეობების (იედოვას მოწმეები, კრიშნაიტები და ა.შ.) მიმართ.

მიმე სოციალ-ეკონომიკურ ფონზე საზოგადოებაში ჩნდებიან და თანდათან ძლიერდებიან რადიკალური ორთოდოქსული ჯგუფები, რომლებიც საკმაოდ აგრესიული ფორმებით გამოხატავენ ბოლო ხანებში საქართველოში შემოსული რელიგიური სექტებისადმი დამოკიდებულებას. უფრო მეტიც, ამ ჯგუფთა აგრესია თავს იჩენს ისეთ რელიგიებთან დამოკიდებულებაში, როგორიცაა კათოლიციზმი, ბაპტიზმი და სხვა რელიგიური მიმდინარეობანი. რადიკალები, რომელთა შორისაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს განკვეთილი მდგდლის ბასილი მკალავიშვილის ორთოდოქსული სექტა, ანადგურებენ სხვა რელიგიური მიმდინარეობების (უპირველეს ყოვლისა იედოვას მოწმეთა) ქონებას, წვავენ მათ ლიტერატურას, არბევენ მათ შეკრებებს და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლება ფაქტიურად არ რეაგირებს რადიკალთა ამგვარ ქმედებებზე, ხოლო ზოგჯერ ხელისუფლების წარმომადგენლები აშკარად უჭერენ მხარს მათ. როგორც წესი, პოლიცია ან არ ერევა აღნიშნულ კონფლიქტებში, ან თვითონ ეხმარება რადიკალებს რელიგიური უმცირესობების დარბევაში.

მეორეს მხრივ, ხელისუფლება იძულებულია სიტყვიერი რეაგირება მაინც მოახდინოს სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო

საზოგადოებრიობის მოთხოვნაზე (მაგალითისათვის აშშ სენატორთა დიდი ჯგუფის მიმართვა საქართველოს ხელისუფლებისადმი რელიგიური შეუწყნარებლივის დაგმობის თაობაზე 2001 წლის ზაფხულში). საქართველოს პრეზიდენტი და უმაღლესი სახელმწიფო მოხელეები აცხადებს, რომ არ დაუშვებენ რელიგიური უმცირესობების შევიწროებას, თუმცა რეალური ნაბიჯები ამ განცხადებებს არ მოყვება ხოლმე. გაურკვეველია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციაციგი, ისევე როგორც ხელისუფლება, ზოგიერთ განცხადებებში გმობს ვანდალიზმის აქტებს, მაგრამ გადაჭრით არ ემიჯნება რელიგიურ ექსტრემიზმს.

ამავე დროს როგორც სახელმწიფო, ისე მართლმადიდებლური ეკლესია ცდილობენ დაახლოვონ თავიანთი პოზიციები, ქვეყანაში თავიანთი მდგომარობის განმტკიცების მიზნით. ამ დაახლოების ნათელი გამოხატულებაა კონკორდატი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. შეთანხმების საფუძველი გახდა საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე მუხლი, სადაც აღნიშნულია ანალოგიური შეთანხმების აუცილებლობა. იმ კონკრეტული მუხლების გარდა, რაც კონსტიტუციურ შეთანხმებაშია მოცემული, ორივე მხარე გარკვეულ მიზნებს ისახავს:

- ხელისუფლებას სურს გამოიყენოს ეკლესიის მზარდი ავტორიტეტი საზოგადოებაში თავისი შელახული იმიჯის ასამაღლებლად.
- მართლმადიდებლურ ეკლესიას სახელმწიფოს მიერ მისი უფლებების გაფართოება საზოგადოებრივ პროცესებში თავისი როლის გასაზრდელად ესაჭიროება.

შეთანხმების თანახმად, ეკლესიის როლი იზრდება განათლების სისტემაში. ეკლესიას შესძლებლობა ეძლევა მონაწილეობა მიიღოს სხვა მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში.

თუ სახელმწიფოსა და ეკლესიის დაახლოება გაგრძელდა, სავარაუდოა რომ მალე მართლმადიდებლური ეკლესია ქვეყანაში მთავარი იდეოლოგის ფუნქციას აიღებს თავზე და ფაქტიურად დაიკავებს იმ ნიშას, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლამდე კომუნისტური პარტიის იდეოლოგიურ სამსახურებს ეკავა და რომელიც ქვეყნის დეიდეოლოგიზაციის შემდეგ ფაქტიურად ვაკანტურია. უკვე გაისმის ხმები იმის შესახებ, რომ ეს შეთანხმება საზოგადოების თვალში ეკლესიის ავტორიტეტს სერიოზულ დარტყმას მიაყენებს, ხოლო ხელისუფლების პოზიციების გაძლიერებას ხელს ვერ შეუწყობს.

### მიმდინარე სიტუაცია და არსებული პრობლემები

მიუხედავად ერთმანეთს შორის დიდი განსხვავებისა, სამოქალაქო საზოგადოების ყველა ზემოჩამოთვლილ სეგმენტს ბევრი საერთო პრობლემა აქვს. მათგან, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიყოს ორი უმთავრესი:

- პირველ რიგში, ესაა ზოგადად საზოგადოების, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ინდეფერენციისზე ქვეყანაში მიმდინარე სოციალური თუ პოლიტიკური პროცესებისადმი, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს ნიჭილისტური დამოკიდებულება კანონისა და ხელისუფლებისადმი. საზოგადოების ასეთი გაწყობა უარყოფითად მოქმედებს სამოქალაქო სექტორზეც. საკმაოდ გავრცელებულია შეხედულება, რომ ნებიმიერი საზოგადოებრივად აქტიური ორგანიზაციის უკან გარკვეული ნებატიური ძალები (უპირველეს უოვლისა ხელისუფლება) დგანან. კერძოდ, საზოგადოების მარგინალიზებულ ფენებში მუსირებს აზრი, რომ ხელისუფლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის არსებული დაპირისპირება "დადგმულ სპექტაკლს" წარმოადგენს. ამ თეზის დასამტკიცებლად გამოიყენება ის არგუმენტი, რომ ხელისუფლება აშკარად არ ახშობს მათ საქმიანობას, რაც რიგითი მოქალაქეებისათვის მიუღწევს ფუფუნებას წარმოადგენს.
- მეორე უმთავრესი პრობლემაა ხელისუფლებაში გამოკვეთილი პოლიტიკის არარსებობა საზოგადოებისათვის ყველაზე უფრო მტკიცნეულ საკითხებთან მიმართებაში. ხელისუფლებას არ გააჩნია მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური ნება როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის არც ერთ სფეროში. ერთადერთი, სადაც ასეთი ნება ვლინდება, არის სურვილი, მაქსიმალურად გაიხსანგრძლივოს ძალაუფლება, რათა კიდევ უფრო მგრი სარგებელი მიიღოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წყალობით. ამას თან ერთვის ისეთი უარყოფითი მოვლენები, როგორიცაა კორუფციის მასშტაბაბის არნახული ზრდა და ხელისუფლების მაღალი ჩინების აღიანსი კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებთან. ყოველივე ეს მძიმე მდგომარეობაში აყენებს იმ ძალებს, რომლებიც, თავიანთი საქმიანობის ფორმიდან გამომდინარე, სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებით.

ცალკე საკითხია, რამდენად არის მონიტორინგის თავისი ინტერესების დაცვაში თვით სამოქალაქო საზოგადოება. ამ უკანასკნელის თითოეული სეგმენტის განვითარების გზა და მათ წინაშე არსებული ზოგადი ხასიათის პრობლემები ზემოთ უკვე იყო განხილული. რაც შეეხება კონკრეტულ, შიდაორგანიზაციულ თუ სხვა სახის საკითხებს, უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ სეგმენტებს განვითარების თანამედროვე ეტაპზე ახასიათებთ მთელი რიგი უარყოფითი და დადგებითი მხარეები, და სამწუხაროდ, პირველი ჭარბობს მეორეს.

**პოლიტიკური პარტიების ერთეული სუსტ მხარეს წარმოადგენს გამოკვეთილი მსოფლმხედველობრივი ბაზისის არარსებობა, რასაც შედეგად მოსდევს გაურკვეველი პოლიტიკური კურსის გატარება. მეორე პრობლემაა გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული მექანიზმების არარსებობა თვით პარტიათა შიდა სტრუქტურებში. მაგრამ უმთავრეს პრობლემას პარტიათათვის (იგულისხმება როგორც სახელისუფლებო, ისე**

ოპოზიციური პარტიები თუ დაჯგუფებები) საზოგადოებრივი დასაქრდენის, სოციალური ბაზის ფაქტიური არარსებობა წარმოადგენს.

ქვეყანაში არსებულმა სოციალურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა საქართველოში გაძქრო საშუალო ფენა, რომელიც ნებისმიერ ქვეყანაში პოლიტიკური მოძრაობების მთავარ საყრდენს წარმოადგეს. დღევანდელი ქართული საზოგადოება შეიძლება ორ ნაწილად, ერთის მხრივ ოლიგარქებად და ეკონომიკური თუ პოლიტიკური კლანების წევრებად, ხოლო მეორეს მხრივ მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობად, ლუმპენიზებულ და მარგინალიზებულ ნაწილებად დაიყოს. მართალია, სამოქალაქო საზოგადოების (არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის) წევრები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ცალკეულ კომერციულ ორგანიზაციებში დასაქმებული პირები საშუალო ფენის ჩანასახს ქმნიან, მაგრამ ეს ფენა თავისი მსირერიცხოვნების გამო არსებული ქონებრივი პოლარიზაციის ხარისხს ვერ ამცირებს. მსოფლიმსედველობრივი კრიზისი, რაც საზოგადოებაში არსებულმა საკანონმდებლო ნიპილიზმა და მომავლისადმი პესიმისტურმა დამოკიდებულებამ გამოიწვია, კიდევ უფრო ამძიმებს არსებულ სიტუაციას და ამცირებს პოლიტიკურ პარტიათა მკვებავ სოციალურ ძალას.

პოლიტიკურ პარტიათა მმართველობითი სისტემა და ადმინისტრირება გამოუკვეთელი შიდა პოლიტიკისა და არადემოკრატიული შიდაპარტიული მექანიზმების არსებობის გამო ასევე სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. ფაქტიურად არც ერთ, მეტნაკლებად მნიშვნელოვან პოლიტიკურ პარტიას არ გააჩნია დემოკრატიული შიდა არჩევნების სისტემა. პარტიათა პოლიტიკურ კურსს განსაზღვრავს მათი ლიდერების ვიწრო ჯგუფი. არ ხდება მმართველობითი ორგანოების როტაცია. პარტიათა რიგითი წევრების მოსაზრებებს ყურადღება საერთოდ არ ექცევა.

პოლიტიკური ორგანიზაციების კიდევ ერთ უარყოფით მხარეს წარმოადგეს ნათელი პოლიტიკური პროგრამების არარსებობა. არც ერთი პოლიტიკური პარტიის პროგრამა, მიუხედავად იმისა, მემარჯვენეა თუ მემარცხენე, ფაქტიურად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. განსხვავება შეიძლება დავინახოთ მხოლოდ სგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში (პრორუსული და პროდასავლური ორიენტაცია) და ზოგიერთ, დეკლარაციული ხასიათის განცხადებებში.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად პოლიტიკურ პარტიებს არ გააჩნიათ საშუალება, საზოგადოებრივ აზრზე დაყრდნობით, რეალური ზემოქმედება მოახდინონ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. ერთადაერთი, რაც მათ ხელეწიფებათ, არის სხვა პარტიებთან შიდაკულურული გარიგებებისა და არჩევნების შედეგების ფალსიფიკაციის შედეგად პარლამენტში მოხვედრის გამოცდილება ან სახელისუფლო პოლიტიკურ ძალებთან გარიგების გზით თავიანთი ლიდერებისათვის პოლიტიკური თანამდებობების უზრუნველყოფა. ეს კი, თავის მხრივ, კიდევ უფრო აღრმავებს პოლიტიკური დაჯგუფებების შიდა თუ გარე პრობლემებს.

ბოლო ხანებში ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიაში შეინიშნება გარკვეული დადებითი ძვრებიც. პოლიტიკურ ლიდერთა ნაწილი თანდათან ათვითცნობიერებს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური

პროგრამების შექმნის აუცილებლობას. თუ ადრე კონკრეტული დაპირებები მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიების პერიოდში ისმოდა, ზოგიერთი პარტია უკვე ცდილობს კონკრეტული საქმიანობები განახორციელოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის სფეროში. ცალკეული, გახმაურებული სასამართლო პროცესები ეკონომიკური მონოპოლიების წინააღმდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სოციალური ინტერესების დაცვას ემსახურება და სხვ., მიუთითებენ, ერთის მხრივ, პოლიტიკურ პარტიებში პოპულისტური ტენდენციების ზრდაზე, ხოლო, მეორეს მხრივ, რეალური საზოგადოებრივი სოციალური დასაყრდენის გაჩენის სურვილზე. და ბოლოს, კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც თანდათან სულ უფრო და უფრო ნათლად იკვეთება, არის მთელი რიგი რპოზიციური პარტიების მიერ გაკეთებული განცხადებები, მოახდინონ ძალების კონსოლიდაცია ქვეყანაში არსებული კორუმპირებულ-კრიმინალური სახელისუფლებო აპარატის წინააღმდეგ საბრძოლველად და უარი თქვან ამ უკანასკნელთან ნებისმიერი სახის კულუარული და უკანონო შეთანხმების დადებაზე. მართალია ეს პროცესი ჯერჯერობით განცხადებების სფეროს არ გასცილებია, მაგრამ თვით განცხადებების რიცხვმა ბოლო პერიოდში მკვეთრად იმატა.

**არასამთავრობო ორგანიზაციების წინაშე სხვა სახის კონკრეტული საშინაო თუ საგარეო პრობლემები დგას.**  
საგარეო სახის პრობლემებიდან უნდა აღინიშნოს მესამე სექტორის დაბალი იმიჯი საზოგადოებაში და სახელმწიფოსთან სულ უფრო და უფრო გართულებული ურთიერთობა. ასეთი რეაქციის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს ხელისუფლების და მთელი რიგი პოლიტიკური ძალების გაღიზიანება არასამთავრობო ორგანიზაციების მზარდი აქტიონების გამო. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პასუხს ასეთი სახის აქტიონებაზე წარმოადგენს მთელი რიგი სამნისტროების მცდელობები, კონტროლი დააწესონ არასამთავრობო სექტორის საქმიანობაზე და თავის გავლენის სფეროში შემოიყვანონ ეს უკანასკნელნი<sup>27</sup>. მართალია, ყველა ასეთი სახის

<sup>27</sup> ასეთი მცდელობები პერმანენტულად იქნება თავს როგორც საკანონმდებლო, ისე, განსაკუთრებით, აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან. 1996 წლიდან მოყოლებული, ფინანსთა სამნისტრომ რამდენჯერმე სცადა კანონმდებლობაში ისეთი სახის ცელილებების შეტანა, რომელიც ხელისუფლებას საშუალებას მიეცმდა, ფინანსური ვალდებულებების დარღვევის საბაზით, შექმნილი ან საერთოდ გაეუქმებინა მისთვის არასასურველი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა. ბოლო ასეთ მცდელობას ადგილი პერიოდი 2002 წლის შემოდგომაზე - მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორც წესი, ასრულებენ ვალდებულებას საგადასახადო სამსახურების წინაშე, გადაწყდა შექმნილიყო დამატებითი კომისია, რომელსაც ექნებოდა კონტროლის შედეგების გადამოწმების უფლება. სამნისტრომ ასეთი კომისიის შექმნის ფორმალური დასაბუთება მოგვიანებით იმით სცადა, რომ საჭირო იყო საგადასახადო სამსახურებზე კონტროლის დაწესება. ამ ლოგიკის მიხედვით, რომელშიც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს სერიოზულად ეპარებათ ეჭვი, ფინანსთა სამნისტრომ არასამთავრობო ორგანიზაციების მოვალეობად აქცია სამნისტროს სტუქტურების გაკონტროლება, რასაც თვითონ ვერ ან ახერხებს სუსტი ადმინისტრირებისა და

მცდელობა, სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ქვეყნების (უპირველეს ყოვლისა დასავლეთის სახელმწიფოთა საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების) პროტესტის გამო ჩაიშალა, მაგრამ მომავალში მსგავსი სახელისუფლებო ინიციატივების გამეორება არ არის გამორიცხული.

რეტროგრადული ძალების მიერ სამოქალაქო ორგანიზაციებზე ზემოქმედების მეორე ბერკეტს წარმოადგენს საზოგადოებაში არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ უარყოფითი განწყობის გაძლიერება. სახელმწიფო და ხელისუფლების კონტროლქვეშ მყოფი საინფორმაციო საშუალებების მიერ ვრცელდება აზრი, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ უცხოეთის აგენტურას და/ან დასავლური ფინანსების უკანონოდ მიმთვისებელ სეგმენტს. არასამთავრობო ორგანიზაციების დასახასიათებლად ხშირად გამოიყენება ტერმინი "გრანტიჭამიები", რაც თავისთვად საგულისხმო ფაქტია.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საზოგადოება ნაკლებად იცნობს მესამე სექტორის საქმიანობას. სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვები აჩვენებს, რომ საზოგადოების დაახ. 1/3 უარყოფითად უკურებს მათ აქტიობას. ნიშანდობლივია, რომ იგივე გამოკითხვების თანახმად, მოსახლეობის 2/3-ზე მეტი უნდობლობით ეკიდება სახელმწიფო აპარატს.

ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებაში არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ზრდის ერთადერთ მიზეზად ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული საინფორმაციო შეტევა უნდა ჩაითვალოს. მესამე სექტორის წინაშე არსებობს ობიექტური სახის პრობლემებიც, რომელთა შორისაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა დასახლდეს არასამთავრობო ორგანიზაციების ადმინისტრირებისა და ფინანსური მენეჯმენტის სისტემის გაუმართობა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ნაკლებეფექტური მუშაობა და წარმოებული აქტიობების გამჭირვალების დაბალი ხარისხი.

დღეისათვის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში არასამთავრობო ორგანიზაციების როლის ზრდის პირობებში, ამ უკანასკნელთა შიდა სტრუქტურები ადეკვატურად უკვე ვედარ აქმაყოფილებენ თანამედროვე სტანდარტებს. კერძო სექტორის თანდათანობით განვითარების შედეგად, იზრდება ბიზნესში კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნილება. ეს იწვევს მთელი რიგი საეციალოების (ფინანსისტები, მენეჯერები და ა.შ.) პროფესიონალთა გადადენას კერძო სექტორში, სადაც დღეისათვის უფრო მაღალი ანაზღაურებაა, ვიდრე არასამთავრობო სექტორში, სადაც შრომის

---

სახელმწიფო აპარატში არსებული ძლიერი კორუფციის გამო. მესამე სექტორზე კონტროლის დაწესების უკანასკნელ მცდელობას წარმოადგენდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ინიციატივა, ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით აეკრძალათ უკელა იმ ორგანიზაციის საქმიანობა, რომელიც დაფინანსებას საზღვარგარეთიდან იღებს. ასეთი სახის ორგანიზაციების რიცხვში, უპირველეს ყოვლისა, ხვდებოდა არასამთავრობო სექტორი, რომლის დაფინანსების უმთავრეს წყაროსაც დასავლური და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები წარმოადგენს. არასექტოავრობო ორგანიზაციათა მხრიდან საქმაოდ მძაფრი რეაქციის შემდეგ სამინისტრომ განაცხადა, რომ ეს კანონპროექტი კი არა, უბრალოდ ერთერთი რეფერენტის სადიპლომო ნაშრომი იყო და მისთვის ყურადღების მიქცევა არ დირდა.

საშუალო ანაზღაურება ბოლო წლების მანძილზე ფაქტიურად არ გაზრდილა.

მესამე სექტორის კიდევ ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს წამყვან არასამთავრობო ორგანიზაციათა წევრების გარკვეულ კასტად, დახურულ ინტერესთა ჯგუფად ჩამოყალიბების ნიშნები. ხშირ შემთხვევებში ორგანიზაციები უფრო მეტ უურადღებას უთმობენ თანხების მოზიდვისა და საკუთარი ინტერესების დაცვის საკითხებს, ვიდრე საზოგადოების წინაშე არსებულ პრობლემების გადაწყვეტას.

თუმცა ყოველივე ეს არ გვაძლეს საშუალებას, ვისაუბროთ მხოლოდ უარყოფით მოვლენებზე. მრავალ პრობლემასთან ერთად, სახეზეა დადგებითი ტენდენციებიც. ბოლო პერიოდში მესამე სექტორში დაიწყო სერიოზული მსჯელობა განვითარების ტემპების შენელების მიზეზების გამოვლენისა და დაძლევის მიმართულებით. მიმდინარე დისკუსიამ გამოკვეთა ორი შეხედულება: პირველის მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციები სერიოზულ მსოფლმხედველობრივ კრიზისს განიცდიან. მეორე მოსაზრება კი უარყოფს სექტორში კრიზისის არსებობის ფაქტს და არსებული სტაგნაცია განვითარების შემდგომ, უფრო მაღალ საფეხურზე ასვლის წინაპირობად მიაჩნია<sup>28</sup>.

შედარებით განვითარებული არასამთავრობო ორგანიზაციები უკვე გამოდიან სერიოზული ინიციატივებით, რომელთა მიზანსაც ერთის მხრივ შიდაორგანიზაციული სტრუქტურების განვითარება, მეორეს მხრივ კი საზოგადოებაში სექტორის იმიჯის ამაღლება წარმოადგენს. უკვე მიმდინარეობს მუშაობა არასამთავრობო სექტორის ეთიკური ქცევის წესების შემუშავების, საზოგადოებასთან კონტაქტების გაფართოების, არასამთავრობო ორგანიზაციათა ძლიერი კოალიციების შექმნის გზით საზოგადოებრივ ინტერესთა დაცვის პროგრამების განხორციელებისა და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მესამე სექტორის როლის გაძლიერების მიმართულებით.

**მასმედიის საშუალებათა დღევანდელი მდგომარეობის შეფასებისას, პირველ რიგში, არსებული პრობლემების განსაზღვრაა საჭირო.**

ქარული მასმედიისათვის დღესაც იგივე პრობლემებია დამახასიათებელი, რაც ბოლო წლების მანძილზე გამოიკვეთა. ესაა ტელე თუ რადიო გადაცემათა და ბეჭდვითი პრესის პროდუქციის დაბალი ხარისხი, ჟურნალისტთა დაბალი პროფესიონალიზმი, მედიაში სხვადასხვა პოლიტიკური და ფინანსური ელიტების მიერ შეკვეთილი გადაცემებისა და სტატიების სიჭარებები და მიმდინარეობის სიმცირე:

- ქვეყანაში არ არსებობს მასმედიაში დასაქმებულ პირთა მომზადებისა და გადამზადების თანამედროვე სისტემა. ცალკეულ უმაღლეს სასწავლებლებში არსებული შესაბამისი პროფილის ფაკულტეტები

<sup>28</sup> ადნიშნული დისკუსიის მაგალითს წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთერთ კოალიციის – სამოქალაქო ფორუმის მიერ, USAID-ს მიერ დაფინანსებული სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის ფარგლებში 2002 წლის 21 დეკემბერს ორგანიზებული მრგვალი მაგიდა (იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების ქცევის კოდექსი : Pro et Contra, დისკუსიები კავკასიურ ინსტიტუტში 1 (7). 2003. ქართულ ენაზე).

ხარისხობრივად თუ რაოდენობრივად გერ აგმაყოფილებენ არსებულ მოთხოვნებს. უკრნალისტთა კორპუსის უმრავლესობას სხვა პროფესიათა წარმომადგელები შეადგენენ, რომლებსაც, ხშირ შემთხვევაში არ გააჩნიათ შესაბამისი კვალიკაცია.

- მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში ჭარბობს დაბალი ხარისხის მქონე გადაცემები თუ სტატიები. როგორც წესი, მასმედიის პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს უცხოური პროდუქცია წარმოადგენს. ტელევიზიის საეთერო დროის დიდი ნაწილი უცხოურ, ხშირ შემთხვევაში დაბალი ხარისხის მქონე, გასართობ და სათავგადასავლო ფილმებს და საპნის ოპერებს ეთმობა. რადიოსადგურები უმეტესად თანამედროვე მუსიკის ტრანსლირებით არიან დაკავებულნი. გაზეთები ძირითად უკრადღებას სენსაციური ხასიათისა და ყვითელი პრესისათვის დამახასიათებელ სხვა მასალებს (ეროტიკა, პოროსკოპები, სკანდალური ფაქტები გამოჩენლ პირთა ცხოვრებიდან და სხვ) უთმობენ.
- გავრცელებული შეხედულების თანახმად, როგორც გაზეთების, ისე ელექტრონული მედიის უმეტესობის საქმიანობას სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიკური (ხშირად კორუმპირებული და კრიმინალური) დაჯგუფებები აკონტროლებენ. რაც შეეხება სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებებს, ისინი ძირითადად მთავრობის საქმიანობის პროპაგანდითა და ოპოზიციური ძალების კრიტიკით არიან დაკავებულნი. მძიმე ეკონომიკური სიტუაციის გამო საკმაოდ შეზღუდულია სარეკლამო ბაზარი. იგი ვერ უზრუნველყოფს თავისუფალი მედიის ფინანსურ დამოუკიდებლობას, რაც ამ უკანასკნელს კიდევ უფრო მგრძნობიარეს ხდის სხვადასხვა სახის საეჭვო წარმომავლობის დაფინანსების მიმართ.

კიდევ ერთი გარემოება, რაც დამოუკიდებელ მედიას ახასიათებს, ესაა საქმაოდ სუსტი მატერიალური ბაზა. გაზეთების ტირაჟი და ელექტრონული მედიის მიერ დაფარული სივრცე საკმაოდ შეზღუდულია. ამ მხრივ არც სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებებათა საქმეა უკეთ. სახელმწიფო ტელევიზიების აღჭურვილობის დიდ ნაწილს მოქველებული ტექნიკა შეადგენს. რაც შეეხება სახელმწიფოს კონტროლქვეშ არსებულ ბეჭდვით მედიას, იგი არ სარგებლობს პოპულარობით მოსახლეობაში. მათი მაღალი ტირაჟი საბიუჯეტო დოტაციების შედეგად მიიღწევა. ხშირია შემთხვევები, როცა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს მთავრობის მხრიდან ეძლევა მითითება, შეისყიდონ გაზეთების განსაზღვრული ოდენობა.

უცხოური საინფორმაციო საშუალებების როლი საკმაოდ შეზღუდულია. მცირეა რუსულენოვანი (ძირითადად რუსეთის) ტელე და რადიო პროგრამებისა და ბეჭდვითი პროდუქციის გავრცელების არეალი, ამავე დროს საზოგადოების დიდ ნაწილში ეს უკანასკნელი არ სარგებლობს ნდობით ანტიქართული განწყობებისა და ცუდად დაფარული იმპერიული ამბიციების დომინირების გამო. რაც შეეხება დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებს, მათი მოხმარების არეალი ასევე შეზღუდულია, ოღონდ ამ შემთხვევაში ენობრივი ბარიერის არსებობის მიზეზით.

მეორეს მხრივ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სასაზღვრო ეთნიკურ ანკლავებში ქართული საინფორმაციო მომსახურების სიმცირე. აქ სწორედ რუსეთის, სომხეთისა და თურქეთის საინფორმაციო საშუალებათა სიჭარბე შეინიშნება.

მასმედიაში არსებული სიტუაციის დახასიათებისას დადებით მოვლენად უნდა დასახელდეს საზოგადოებაში დამოუკიდებელი მედიის მიმართ არსებული აშკარად გამოკვეთილი სიმპატიები. მიუხედავად წარმოებული პროდუქციის დაბალი ხარისხისა, ქართული მედია, უპირველეს ყოვლისა ტელევიზია, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის რჩება ინფორმაციის ერთადერთ მიმწოდებლად. საზოგადოებაში ნდობის არსებობა, სწორად წარმოებული პოლიტიკის პირობებში, შეიძლება ძლიერ საშუალებად იქცეს ქვეყანაში დემოკრატიული დირებულებების დამკვიდრების პროცესში.

კიდევ ერთი დადებითი მომენტი, რომელზეც ღირს ყურადღების გამახვილება, არის საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენელთა შორის განენილი ინიციატივა, შემუშავებულ იქნეს ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი, რაც სერიოზულად შეამცირებს შეკვეთილი დეზინფორმაციის ოდენობას ქართულ მედიაში. ჟურნალისტურ წრებში ასევე აშკარად ჩანს პროფესიონალიზმის ნაკლებობის ხედვა და სურვილი, ქვეყანაში შეიქმნას მათი კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა.

**რელიგიის** თავისულების საკითხი ქართული საზოგადოების ერთერთი უმწვავესი პრობლემაა და იგი დღითიდღე სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

რელიგიური ორგანიზაციების განვითარების ეტაპების განხილვისას ითქვა, რომ XX საუკუნის 90-იანი წლებში საზოგადოებაში რელიგიური გრძნობების გაძლიერებას რადიკალური სექტების წარმოშობა და ქვეყანაში მომრავლებული არატრადიციული სექტების წინააღმდეგ ვანდალური აქტების სერია მოყვა. აღინიშნა ისიც, რომ ხელისუფლება პასიურობს ექსტრემისტული რელიგიური დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლისას.

აღნიშვნულ პროცესში გადამწყვეტი როლი ენიჭება საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პრინციპულ პოზიციას. სამწუხაროდ ეს პოზიცია, ისევე როგორც ხელისუფლების ნება, არ დაუშვას რელიგიური შეუწყისარებლობის გაძლიერება ქვეყანაში, მკვეთრად არ ფიქსირდება. საქართველოში გაბატონებული რელიგიური მიმდინარეობა გადაჭრით არ იღავს ქრისტიანობის იმ თრთოდოქსი რადიკალების წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთი ქმედებებით არა მარტო სხვადასხვა რელიგიურ უმცირესობებს ავიწროებენ, არამედ სერიოზულ დარტყმას აყენებენ თვით მართლმადიდებლობის, როგორც ტოლერანტული რელიგიის იმიჯს საერთაშორისო საზოგადოების თვალში.

ასეთ პოზიციას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს, რომელთაგანაც, უპირველეს ყოვლისა, თვით საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში მიმდინარე შიდაპროცესები უნდა აღინიშნოს.

მართლმადიდებლური ეკლესიის, როგორც ინსტიტუციის, განვითარება საბჭოთა პერიოდში არ ყოფილა ერთგვაროვანი. კომუნისტური სისტემის მხრიდან საკმაოდ ხარგძლივი დევნის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ შეცვალა თავისი დამოკიდებულება ზოგადად რელიგიისა და კერძოდ, და განსაკუთრებით, მართლმადიდებლური ეკლესიისადმი. ამ ცვლილებების პირველ ნათელ გამოხატულებას წარმოადგენდა 1943 წელს, იოსებ სტალინის მიერ რუსეთის საპატრიარქოს ადდგენა.

აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული ხდება ეკლესიისა და ხელისუფლების პოზიციათა დაახლოება. მართალია, მებრძოლი ათეიზმი კვლავ საბჭოთა სისტემის ოფიციალურ იდეოლოგიას წარმოადგენდა, მაგრამ რელიგიური ლგისმსახურების ლეგალიზაციამ შეარბილა მართლმადიდებლობასა და საბჭოთა რეჟიმს შორის არსებული დაპირისპირება.

მართლმადიდებლურ ეკლესიას აღნიშნული დათმობების სანაცვლოდ მთელ რიგ კომპრომისებზე წასვლა დაჭირდა. მოხდა აღსარების საიდუმლოს ხელშეუხებლობის შეზღუდვა, ეკლესიაში გაძლიერდა სპეცსამსახურების წარმომადგენელთა ხვედრითი წილი.

საბჭოთა სისტემის კრიზისისა და რდვევის, ასევე დამოუკიდებლობის პერიოდში მართლმადიდებლური ეკლესიის დგთისმსახურთა კონტინგენტი შეივსო ახალი კადრებით, რომელთა დიდ ნაწილსაც არ გააჩნდა საოანადი რელიგიური განათლება და ხშირად მერკანტილური მოსაზრებებით, საკუთარი შემოსავლების გაზრდის მიზნით მიღიოდა ეკლესიაში.

ყველა ამ გარემოებების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ვისაუბრით მართლმადიდებლური ეკლესიის დღვევანდელ მდგომარეობაზე. მართალია სპეციალური კვლევები ამ მიმართულებით არ ჩატარებულა, მაგრამ მაინც შეიძლება ეკლესიაში მღვდელთმსახურთა სამი ჯგუფის გამოყოფა:

- მცირერიცხოვანი დემოკრატიული დაჯგუფება, რომელიც ათვითცნობიერებს ეკლესიაში არსებულ კრიზისს და ზოგადი ჰუმანური ღირებულებების პრიმატის აუცილებლობას და სხვა ეკლესიებთან თანამშრომლობის საჭიროებას;
- რადიკალურად განწყობილი მღვდელთმსახურთა ნაწილი, რომელთაც პროზელიტიზმის შეზღუდვის ერთადერთ საშუალებად იზოლაციონიზმი მიაჩნიათ. ეს ფრთა არაოფიციალურად მხარს უჭერს ორთოდოქს რადიკალთა მოქმედებას;
- მღვდელთმსახურთა უმრავლესობა, რომელიც არ ერევა აღნიშნულ დაპირისპირებაში. მათი ნაწილი უსიტვოდ ემორჩილება საპატრიარქოს ოფიციალურ პოზიციას, ნაწილი კი თანამდებობას მერკანტილური მიზნებისთვის იყენებს.

ასეთ პირობებში საპატრიარქო ცდილობს, არ დააფიქსიროს მკვეთრი პოზიციები და დათმობების გზით მოაგვაროს წამოჭრილი პრობლემები<sup>29</sup>.

<sup>29</sup> აღნიშნული დათმობის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს 1997 წლის გაზაფხულ-ზაფხულში მართლმადიდებლურ ეკლესიაში განვითარებული მოვლენები. რამდენიმე, იზოლაციონისტურად განვითარებილი მონასტერი გამოვიდა საქართველოს

ამავე დროს გაორებულია მართლმადიდებლური ეკლესიის დამოკიდებულება სხვა რელიგიებთან მიმართებაში, რაც ნათლად გამოჩნდა 1999 წელს, რომის პაპის საქართველოში ვიზიტის დროს. მართლმადიდებლური ეკლესია ერთის მხრივ, მიესალმა მის ვიზიტს, ხოლო მეორეს მხრივ, თავის მრევლს აუკრძალა პაპის მერ გამართულ მესაზე დასწრება.

ქვეყანაში მმიმე ეკონომიკური და სოციალური ფონის შუქზე, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში არსებული მსოფლმხედველობრივი კრიზისის წყალობით, მოსახლეობის მარგინალიზებული ნაწილი ცდილობს სხვა რელიგიებში იპოვოს თავისი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ყოველივე ამას ქვეყანაში რელიგიურ სექტათა (პირველ რიგში - იედოვას მოწმეთა) წევრების რიცხვის ზრდა მოსდევს.

### განვითარების პერსპექტივები და რეკომენდაციები

ქართული საზოგადოება და სახელმწიფო დღეისათვის გზაჯვარედინზე იმყოფება. იმაზე, თუ მომავლის როგორი ხედვა, რა კონკრეტული სტრატეგიული გეგმები და მათ განსახორციელებლად აუცილებელი სტრუქტურები ჩამოყალიბდება, დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის განვითარება, სულ მცირე, უახლოესი ათწლეულების მანძილზე.

თუ დავკაონკრეტებთ განვითარების პერსპექტივებს, საქართველოში ამ პროცესის ორი შესაძლო ვარიანტი შეიძლება იქნეს წარმოდგენილი:

1. მწირი, შეზღუდული რესურსების პირობებში, პატრიმონიალური ურთიერთობების ფონზე, პოლიტიკური და ეკონომიკური კლანების გაძლიერება და კორუმპირებულ-ბიუროკრატიული სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც კრიმინალურ სამყაროსთან კავშირში ახდენს მოსახლეობის ტერორიზმებას და ახორციელებს შეუზღდავ ძალაუფლებას. აღნიშნული სცენარი განვითარდება კლანური და პოლიტიკური დაპირისპირებების ანარქიული გარემოს ფონზე. ამ პროცესში, სუსტი (და გარკვეულ შემთხვევაში - შეუმდგარი) სახელმწიფოს არსებობის პირობებში, მნიშვნელოვან, და ამასთან ნეგატიურ, როლს შეასრულებს სხვა სახელმწიფოთა (პირველ რიგში რუსეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის ფუნდამეტალისტური რეჟიმების არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ინტერესების პრევალირება<sup>30</sup>.
2. ქვეყანაში არსებული ლიბერალური და დემოკრატიული ძალების გაერთიანებისა და მათი მხარდაჭერის გზით სამოქალაქო

მართლმადიდებლური ეკლესიის ეპუმენისტურ მოძრაობაში ყოფნის წინააღმდეგ კათალიკოს-პატრიარქმა, რომელიც მსოფლიო საეკლესიო საბჭოს თანაპრეზიდენტი იყო, ეკლესიაში განხეთქილების თავიდან ასაცილებლად საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია გამოიყვანა ამ გაერთიანებიდან.

<sup>30</sup> აღნიშნულის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ პანკისის ხეობაში შეიარაღებული დაჯგუფებების არსებობა და მათი კავშირი საერთაშორისო ვაჰაბიტურ ცენტრებთან.

საზოგადოების პრინციპების პრეცედენტების სახით დაწერგვა და მოსახლეობაში გამეფებული აპათიისა და საკანონმდებლო ნიპილიზმის თანდათანობითი დაძლევა. ასეთ პირობებში, საზოგადოებრივი მხარდაჭერისა და დასავლეთისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, მმართველობითი სტრუქტურების რეფორმირებისა და ხელისუფლების საქმიანობაზე საზოგადოებრივი მონიტორინგის განხორციელების გზით, საქართველოში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ეტაპობრივი დაძლევა.

ის, თუ რომელი სცენარით განვითარდება მოვლენები, დიდადაა დამოკიდებული ქართული საზოგადოების მზაობისა და კონსოლიდაციის ხარისხზე. აღიშნული პროცესის დასაწყებად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სამოქალაქო საზოგადოების თვითონაზე სეგმენტის საჭიროებებისა და როლის განსაზღვრა:

- პოლიტიკური პარტიების უმთავრეს მიზანს საზოგადოებრივ მარდაჭერაზე დაყრდნობით პოლიტიკური პროცესების მართვში რეალური ძალაუფლების მოპოვება წარმოადგენს.
- არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო მეტად უნდა გადავიდნენ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვასა და საზოგადოებისათვის სასიცოცხლო პროგრამების შემუშავებასა და დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარებაზე, რისთვისაც აუცილებელია, რომ მესამე სექტორმა საზოგადოების თვალშიც ისეთივე მაღალი იმიჯი შეიქმნას, როგორიც დასავლეთის თვალში აქვს.
- მასშედიისათვის აუცილებლობას წარმოადგენს მოსახლეობისათვის მიწოდებული ინფორმაციის ხარისხის ზრდა და თვისობრივი განახლება, რაც მედიის პროფესიონალიზმის ზრდისა და ქცევის ერთიანი, ეთიკური ნორმების შემუშავების გზით უნდა განხორციელდეს.
- რელიგიური კონფესიების უმთავრეს მისიას საზოგადოებაში არსებული დაპირისპირების აღმოფხვრა და განსხვავებული მსოფლმხედველობებისადმი ტოლერანტული მიდგომის განვითარება წარმოადგენს, რაც რელიგიური პოლიტიკის პოლიტიზაციის ხარისხის შემცირებასა და კვაზირელიგიური მენტალობის დაძლევის პროცესის ხელშეწყობაში უნდა გამოიხატოს.

მიუხედავად განსხვავებული მიზნებისა, სამოქალაქო საზოგადოების კველა ზემოაღნიშნულ სეგმენტს გააჩნია საერთო პრობლემები და მიზნები: მოსახლეობაში ფრუსტრაციის დაძლევა და ამ უკანასკნელის სამოქალაქო აქტიობის ზრდა; საკუთარი შიდა სტრუქტურების, დროის მოთხოვნილებათა შესაბამისად, გარდაქმნა და ოპტიმიზაცია; ერთმანეთთან და გარე სამყაროსთან, ინტერესთა სხვა ჯგუფებთან ურთიერთობების პრინციპების შემუშავება და მათი რეალიზაცია.

აღნიშნულ პროცესში საზოგადოების აქტიურ ნაწილს, ზემოაღნიშნული ორგანიზაციების სახით, ყავს პოტენციური მოკავშირეები საზოგადოების ფართო ფენებისა და საერთაშორისო და დასავლური ორგანიზაციების სახით. საერთო ინტერესების გარშემო გაერთიანება სამოქალაქო

საზოგადოების ყველა სეგმენტის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს.

და ბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საზოგადოებრივ სხოვრებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება დასავლეთის დემოკრატიული სამყაროს დახმარებას. დღეისათვის აუცილებელი ხდება საქართველოსათვის გაწეული ეკონომიკური თუ პოლიტიკური დახმარების მიზნების ზუსტი განსაზღვრა, საზოგადოებრივად აქტიური იმ ჯგუფების მხარდაჭერა, რომლებიც ემსახურებიან საქართველოში დემოკრატიული და ლიბერალური საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესს. კერძოდ:

- საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა უფრო მეტი უურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივ სპეციფიკას და მოკაშირეები ეძებონ არა ხელისუფლების ფსევდოლიბერალურად განწყობილ ეშელონებში, არამედ სამოქალაქო საზოგადოებაში.
- აუცილებელია მოხდეს საქართველოსათვის გაწეული დახმარების გამჭირვალების ხარისხის გაზრდა. დახმარებების აუცილებელ პირობებად უნდა იქნეს მიზნეული ქვეყნის ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი პროგორამებისა და პრიორიტეტების მკაფიო განსაზღვრა და ამ უკანასკნელთა იმპლემენტაციის პერიოდში ძლიერი საზოგადოებრივი კონტროლის მოთხოვნა.

დასვლური ფინანსების ეფექტური გამოყენება ხელს უნდა უწყობდეს არა საქართველოსათვის მიცემული კრედიტებისა და გრანტების დიდი ნაწილის დალექვას ბიუროკრატიის პირად ანგარიშებზე, არამედ თანდათან მზარდი დემოკრატიული ინტიტუციების კიდევ უფრო გაძლიერებას.